



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 193



2013 წლის 27 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდის სფეროში განსახორციელებელი 2014 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 950000 (ცხრაასორმოცდაათიათასი)
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამა

დაგეგმილია, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის სფეროში 13 არასამეწარმეო იურიდიული პირის _ (№1, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13 საბავშვო ბაღების) ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქ.ხაშურში განთავსებულია №1--№8 საბავშვო ბაღები, №9 _ დაბა სურამში, №10 _ სოფელ ცხრამუხაში, №11 _ სოფელ გომში, №12 _ სოფელ ოსიაურში, №13 _ სოფელ ალში.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნებას და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას.

პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა დაფინანსებას სასწავლო პროცესში და დაფინანსებას არასასწავლო პერიოდშიც.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს დაწესებულებებში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

პროგრამის ხანგრძლივობა

2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო 950 000 ლარი, რაც გათვლილია 1567 ბავშვზე და 202 პედაგოგზე. თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბაღების სტრუქტურა და მათ მიერ მოწოდებული მონაცემები მიმდინარე წლის სამუშაო თვეების ბავშვთა ფაქტიური დასწრების რაოდენობის შესახებ.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- _ მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურების ხელმისაწვდომობა.
- _ მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება.
- _ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შეფასების ინდიკატორი:

- სათანადოდ აღჭურვილი ზაღების რაოდენობა;
- აღსაზრსელთა რაოდენობა.

#	ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიების ოდენობა
1	შრომის ანაზღაურება	627120
2	ოფისის ხარჯი	83129
3	კვების ხარჯი	239751
	სულ	950 000 ლარი